განმცხადებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

თარიღი: 05-04-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 5;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: ფლანგვის დეტექტორი

სადავო მასალა: არასამთავრობო ორგანიზაცია „ფლანგვის დეტექტორმა“ 3 აპრილს სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სტატია ქუთაისის მერიის მიერ შეძენილ ავტომობილთან დაკავშირებით. სტატია ცალსახად დეზინფორმაციულია და ემსახურება ცრუ ინფორმაციის გავრცელებით ქუთაისის მერის დისკრედიტაციას. ავტომობილი „შკოდა“ ქუთაისის მერიამ ტენდერის საშუალებით შეიძინა 118, 121 ლარად.
https://m.facebook.com/story.php?story_fbid=pfbid024Uwvc8yxSLi6FyF574txc1Sjj57NHbW3tzFgagB1cr2o1iVEZGbdAPGzWnFgy4cXl&id=100080486469345&mibextid=Nif5oz

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: არასამთავრობო ორგანიზაცია „ფლანგვის დეტექტორმა“ 3 აპრილს სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სტატია სათაურით „მერისთვის მანქანის შეძენა ქუთაისს 118 ათასი ლარი დაუჯდა, ხოლო ორ თვეში ამ მანქანის მოვლისათვის ბიუჯეტიდან 13 ათასი ლარი ტენდერის ავლით დაიხარჯა“. სტატია ცალსახად დეზინფორმაციულია და ემსახურება ცრუ ინფორმაციის გავრცელებით ქუთაისის მერის დისკრედიტაციას. სტატიაში მითითებულია შემდეგი: „იოსებ ხახალეიშვილმა შკოდას მარკის ჯიპი 2 თვის წინ 118,211 ლარად იყიდა. ტენდერი უკონკურენტოდ მოიგო შპს ავტოცენტრი თბილისმა - კომპანიამ, რომელიც დაკავშირებულია სპორტის ყოფილ მინისტრთან, ტარიელ ხეჩიკაშვილთან და ქართული ოცნების შემომწირველ დავით გოგორიშვილთან. კონკურენტი კომპანია მერიას მიწოდების ვადის 1 თვით გაზრდას სთხოვდა, სანაცვლოდ კი მსგავსი ავტომობილის უფრო ბიუჯეტურ ფასად მიწოდებას სთავაზობდა. ახალთახალი მანქანის გეგმიური ტექნიკური მომსახურებისთვის ქუთაისის მერმა თბილისის ავტოცენტრში უნდა იაროს, რისთვისაც 13 ათასი ლარი ისევ ავტომობილის მიმწოდებელ კომპანიას გადაუხადა. ქუთაისის მერმა ავტომობილის ბამპერი ყიდვიდან რამდენიმე კვირაში დააზიანა, თუმცა შეკეთებისთვის ბიუჯეტიდან თანხა ჯერ არ დახარჯულა. შედარებისთვის, ლონდონის მერი, სადიქ ხანი ხშირად საჯარო ტრანსპორტით გადაადგილდება. ამსტერდამის მერი სამსახურში მისასვლელად ველოსიპედს იყენებს. ჰელსინკის მერი და თანამდებობის პირები მხოლოდ საკუთარი ავტომობილით სარგებლობენ“. რეალურად ავტომობილი „შკოდა“ ქუთაისის მერიამ ტენდერის (NAT230000310) საშუალებით შეიძინა 118, 121 ლარად. მომწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული სტანდარტული ხელშეკრულების თანახმად, საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში (5 წლის მანძილზე), ავტომობილმა დაწესებულ ვადებში, პერიოდულად, უნდა გაიაროს გეგმიური ტექნიკური შემოწმება, რათა საჭიროების შემთხვევაში იმოქმედოს საგარნტიო პირობებმა და მომსახურებამ. ამ პროცესებისთვის არანაირი დამატებითი ტენდერის გამოცხადება არ არის საჭირო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით; „ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ: თ) ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა“, ხოლო „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილებით; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის 61 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს: ა) არა უმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა; ბ) საქართველოში ან საზღვარგარეთ არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის ქვეყანაში ოფიციალური დილერის ან მწარმოებლის გარანტიის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა“. ამდენად სტატიის სათაურში მითითება იმაზე, რომ „მანქანის მოვლისათვის ბიუჯეტიდან 13 ათასი ლარი ტენდერის ავლით დაიხარჯა“ მიზნათ ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ნორმების საფუზველზე 2023 წლის 9 მარტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მომწოდებელს, შპს „ავტო ცენტრი თბილისი“-ს შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N121 ხელშეკრულება, რომლის საგანია „ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (VIN კოდი: TMBLD6NS1P8507970; სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი - PP 919 NN“) ტექნიკური მომსახურებისა და ავტოსათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 12947 ლარს (იხ. ხელსეკრულების 3.1. პუნქტი), ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების დადებიდან 2026 წლის 26 იანვრამდე (იხ. ხელშეკრულების 5.5. პუნქტი). დღეის მდგომარეობით ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მოწოდება მომწოდებლის მიერ არ განხორციელებულა და შესაბამისად ხელშეკრულების ჯამური ღირებულებიდან მითვის არანაირი თანხა არ არის გადახდილი, შესაბამისად სიცრუეა როგორც სტატიის სათაურში, ასევე ტექსტში (მე-4 აბზაცი) მითითებული ჩანაწერი, რომ თითქოსდა მერიამ მანქანის მოვლისათვის ბიუჯეტიდან 13 ათასი ლარი ტენდერის ავლით დახარჯა. ასევე სიცრუეა სტატიის ტექსტში (მე-5 აბზაცი) არსებული ჩანაწერი, რომ თითქოსდა ქუთაისის მერმა ავტომობილის ბამპერი ყიდვიდან რამდენიმე კვირაში დააზიანა. ავტომანქანის ბამპერი არ დაზიანებულა და მისი გამოცვლის საჭიროებაც არ ყოფილა. სიცრუეა სტატიაში მითითება იმაზე, რომ მომწოდებელი, შპს „ავტო ცენტრი თბილისი“ (ს/კ: 405295844) დაკავშირებულია სპორტის ყოფილ მინისტრთან, ტარიელ ხეჩიკაშვილთან და ქართული ოცნების შემომწირველ დავით გოგორიშვილთან. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ შპს „ავტო ცენტრი თბილისი“-ს (ს/კ: 405295844) დირექტორია დავით ჯოხაძე (პ/ნ: 31001008882), ხოლო 100% წილის მესაკუთრეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ბუტიკგრუპი (ს/კ: 405277962). სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ბუტიკგრუპის (ს/კ: 405277962) დირექტორია ზურაბ ტუკვაძე (პ/ნ: 01024058793), ხოლო 100% წილის მესაკუთრეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გტ ბენეფიტსი (ს/კ: 404560051). სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გტ ბენეფიტსის (ს/კ: 404560051) დირექტორია ზურაბ ტუკვაძე (პ/ნ: 01024058793), ხოლო 50-50% წილის მესაკუთრეები არიან დირექტორია ზურაბ ტუკვაძე (პ/ნ: 01024058793) და დავით გოგორიშვილი (პ/ნ: 01007011349). „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 123-ე მუხლით; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის სამეწარმეო საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წილებად, ხოლო ამ საზოგადოების ვალდებულებებისთვის პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდულია. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კრედიტორის წინაშე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პარტნიორთა ვალდებულებებისთვის პასუხს არ აგებს. 2023 წლის 04 აპრილს მერიის მიერ ეთხოვა სტატიის ავტორს ეთხოვა სტატიაში დაშვებული უზუსტობის გასწორება, თუმცა მის მიერ იგი რეაგირების გარეშე იქნა დატოვებული. ამდენად „ფლანგვის

დეტექორის“ მიერ დარღვეული იქნა ქარტიის I (ურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია), მე-5 (მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება) და მე-11 (ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება) პრინციპები. მოვითხოვთ განზრახ დაშვებული უზუსტობის გასწორებასა და ბოდიშის მოხდას.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები